



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49230552

თარიღი:24/02/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 23

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ
2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

1. შესავალი

შიდა აუდიტის არსია, დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებასა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისაკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ. შიდა აუდიტი აფასებს და აუმჯობესებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სიტემას, რისკების მართვის ეფექტიანობას, რაც შესაბამისად აუმჯობესებს დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას.

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესის მიზნების მიღწევაში და საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ეთიკის და ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში. შიდა აუდიტორული საქმიანობა გულისხმობს რისკის გამოვლენას და რისკების შეფასებას, ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემების დახვეწას ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად, კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესწავლას და მათი უწყვეტი განვითარების ხელშეწყობას.

შიდა აუდიტის მიზნებია:

- სტრატეგიული და წლიური გეგმების მომზადება რისკების შეფასების საფუძველზე, რომელთაც შეუძლიათ საფრთხის ქვეშ დააყენონ დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასება და შესწავლა ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით დაწესებულების წინაშე არსებული ამოცანების შესასრულებლად;
- ხელმძღვანელობის ინფორმირება მიგნებების და დასკვნების შესახებ და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების საფუძველზე, ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსს, შიდა აუდიტის სტანდარტებს.

სტანდარტები მოითხოვს აუდიტორების მიერ ეთიკის კოდექსის დაცვას, აუდიტის დაგეგმვას და წარმართვას იმგვარად, რომ აუდიტორული შემოწმების შედეგად დადგინდეს შეესაბამება თუ არა ორგანიზაციის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედ კანონმდებლობას.

შიდა აუდიტის სამსახური, სამსახურეობრივ უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობას ახორციელებს მერის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმების შესაბამისად.

2. მოკლე მიმოხილვა

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში განხორციელდა სამი შიდა აუდიტორული შემოწმება (შესაბამისობის და ეფექტიანობის). შიდა აუდიტორული შემოწმება (შესაბამისობის აუდიტი) ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ 2 (ორ) იურიდიულ პირს, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ეფექტიანობის აუდიტი, ასევე განხორციელდა მერიის სტრუქტურულ ერთეულში შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი:

- ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ (შესაბამისობის აუდიტი)
- ქვეპროგრამა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ (ეფექტიანობის აუდიტი)
- ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ (შესაბამისობის აუდიტი)
- გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი - პირველადი სტრუქტურული ერთეული - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

აღნიშნული ობიექტების შემოწმების შედეგად მომზადდა შიდა აუდიტორული ანგარიშები.

3. განხორციელებული ღონისძიებები

აუდიტის ობიექტი N1

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად (შესაბამისობის აუდიტი) გამოვლენილი იქნა შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მიგნებები:

- აუდიტის ობიექტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის დაგეგმვის მოდულში წარმოდგენილი 2020 და 2021 წლების შესყიდვების გეგმებისა და ფაქტობრივად განხორციელებული შესყიდვების შესწავლით დადგინდა, რომ ა(ა)იპ-ის დაგეგმილ შესყიდვებსა და ფაქტობრივად განხორციელებულ შესყიდვებს შორის სხვაობამ 2020 წელს შეადგინა 52 % , ხოლო 2021 წელს - -17%. შესაბამისად, შესყიდვების წლიური გეგმა არ შეესაბამებოდა ფაქტობრივად განხორციელებული წლიური ხარჯებით წარმოდგენილ მონაცემებს.

- შესწავლით დგინდება, რომ რიგ შემთხვევებში გამარტივებული შესყიდვები განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში წინასწარი რეგისტრაციის გარეშე.
- შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში გამარტივებული შესყიდვები განხორციელდა ბაზრის კვლევის გარეშე.
- შესამოწმებელ პერიოდში ფიქსირდება სამსახურიდან ადრე გასვლის და სამსახურში გამოუცხადებლობის ისეთი ფაქტები, რომლებიც არ არის დასაბუთებული დოკუმენტურად და აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მხოლოდ ზეპირსიტყვიერად თანხმდებოდა ა(ა)იპ-ის მმართველთან. ამ შემთხვევებში ხელფასები გაანგარიშებული და გაცემულია სამსახურში ყოფნის სრული დროის შესაბამისად.
- ა(ა)იპ-ი შესამოწმებელ პერიოდში არ აღრიცხავდა მუსიკალური და სამხატვრო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეების ხელმძღვანელთა სამუშაო დროს (ნამუშევარ საათებს) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
- 2021 წლის 01 მარტიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ხორციელდებოდა აუდიტის ობიექტის მიერ შემუშავებული ფორმით, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ სამუშაო დროის აღრიცხვის წესს და არ მოიცავს ამ წესით დადგენილ მინიმალურ მონაცემებს, მაგალითად: პასუხისმგებელი პირის მიერ სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის შედგენის თარიღს; დასაქმებულის თანამდებობას (სპეციალობა, პროფესია); პირად ნომერს ან ტაბელის ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში; თვის განმავლობაში ნამუშევარი დღეების, ნამუშევარი საათების, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების, ღამით (22.00 დან 6.00 პერიოდი) ნამუშევარი საათების; დასვენების, უქმე დღეებში ნამუშევარი საათების ; დისტანციურად ნამუშევარი საათების; გაცდენილი დღეების/საათების ჯამური რაოდენობა და ა.შ.
- აუდიტის ობიექტს შემუშავებული არ აქვს ორგანიზაციის თვითშეფასების წესი და ფორმა და არ ხორციელდება შესაბამისი აქტივობები. მოსწავლეებზე და მასწავლებლებზე დაკვირვების მაჩვენებლები არ არის ასახული დოკუმენტურად და მიღებული შედეგები არ გამოიყენება საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნებისთვის.

ა(ა)იპ “წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად (შესაბამისობის აუდიტი) გამოვლენილი მნიშვნელოვანი მიგნებების აღმოსაფხვრელად გაცემულია შემდეგის სახის რეკომენდაციები:

- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვების ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით, ორგანიზაციის საჭიროებების/მოთხოვნების სათანადო შეფასება-გაანალიზებას, მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების განსაზღვრას, მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ერთგვაროვანი საშუალებების იდენტიფიცირებასა და აგრეგირებას შესყიდვების წლიურ გეგმაში; აგრეთვე ფაქტობრივი შესყიდვების გეგმასთან შეუსაბამობის რისკების შესამცირებლად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.
- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს: საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად, კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისა და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერების

მიზნით ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირებას და მათ სისტემატიზებულ არქივაციას.

- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამსახურში მოსვლისა და სამსახურიდან წასვლის დროის იდენტიფიცირებასა და შესაბამის კონტროლს, თანამშრომელთა ნამუშევარი დროის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხვას და შრომის ანაზღაურების განხორციელებას ფაქტობრივად ნამუშევარი დროის მიხედვით.
- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და პრაქტიკაში დაინერგოს კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობით მიღწეული შედეგების სათანადო კონტროლს, ანალიზს და შეფასებას, მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენას და მათზე ადეკვატურ რეაგირებას, შიდა რეგულაციებით განსაზღვრული წესების დაცვას.

➤ აუდიტის ობიექტი N2

ქვეპროგრამა ა(ა)იპ “წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს“ შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად (ეფექტიანობის აუდიტი) გამოვლენილი მნიშვნელოვანი მიგნებები:

- ქვეპროგრამის განმახორციელებელ ა(ა)იპ-ს შემუშავებული არ აქვს სტრატეგიული და დეტალური სამოქმედო გეგმები. ყოველწლიური სამოქმედო გეგმის არარსებობის გამო კი არ გააჩნია კონკრეტული სამუშაო პროგრამა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეპროგრამის დაგეგმვის პროცესს საფუძვლად არ უდევს მისი საქმიანობით დაინტერესებული მხარეების და მოსარგებლე პირების საჭიროებების სათანადო შესწავლის, შეფასების და გაანალიზების შედეგად მიღებული ინფორმაცია.
- ა(ა)იპ-ში არ არსებობს პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების კონკურენტის წესით შერჩევას, წინასწარ გაწერილი კვალიფიკაციების შესაბამისად.
- ა(ა)იპ-ს შემუშავებული არ აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების ხედვა და სტრატეგია.
- ქვეპროგრამის ეფექტიანობის გაზომვისა და მისი შედეგების შეფასებისთვის შემუშავებული არ არის შესაბამისი ინდიკატორები, პრაქტიკაში არ არის დანერგილი ისეთი პროცესები და აქტივობები, რომლითაც განხორციელდებოდა ქვეპროგრამის მიმდინარე და საბოლოო შედეგების კონტროლი, ანალიზი და შეფასება.
- ქვეპროგრამის მიმდინარეობაზე მუნიციპალიტეტის მხრიდან მონიტორინგის განმახორციელებელი პირი/კომისია/ სტრუქტურული ერთეული განსაზღვრული არ არის და შესაბამისად, არ ხორციელდება მისი საქმიანობის მონიტორინგი და ხარისხის შეფასება.
- მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეებში სწავლება ხორციელდება უფასოდ და მისაღებ მოსწავლეთა რაოდენობა შეზღუდულია, თუმცა განსაზღვრული არ არის მოსწავლეთა შერჩევის კრიტერიუმები. ჩატარებული ინტერვიუებით დგინდება, რომ მოსწავლეთა წრეებში ჩარიცხვა ხორციელდება განმცხადებელთა რიგითობის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე არსებობს იმის რისკი, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების, აგრეთვე მრავალშვილიანი ოჯახების შვილები და სხვა ისეთი პირები, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ უფასო მომსახურების მიღებას ვერ გამოიყენებენ აღნიშნულ შესაძლებლობას. დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამუსიკო, ქორეოგრაფიულ და სხვა წრეებში სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მოსწავლეთა წინასწარი შერჩევის პროცედურების (მოსმენები/გასაუბრება და ა.შ) განხორციელება.
- მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით შემუშავებული და დამტკიცებული არ არის პროცედურები, რომელიც მოაწესრიგებს წრეებში, სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში ჩარიცხვის მსურველ მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ წრეებში,

სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის მიზნით შეტანილი განცხადებების მიღების, დამუშავებისა და აღრიცხვის პროცესს. ასევე არ იწარმოება რეზერვში მყოფ ჩარიცხვის მსურველი მოსწავლეების რეესტრი.

- ა(ა)იპ-ს დოკუმენტურად დადგენილი არა აქვს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრებიდან, ასევე სამუსიკო და სამხატვრო სკოლებიდან მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პირობები. უნდა აღინიშნოს, რომ ფიქსირდება შემთხვევები, როცა მოსწავლეები რამდენიმე თვის მანძილზე უწყვეტად აცდენდნენ მეცადინეობებს (მაგ. მათემატიკის წრე), მაგრამ არ ხდებოდა მათი სიიდან ამორიცხვა.
- დადგენილი არ არის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება ადგილების გამონთავისუფლების შემთხვევაში განმცხადებელთა მოსწავლეთა სიაში შეყვანის საკითხის განხილვის რიგითობა.
- შესამოწმებელ პერიოდში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებდა შემდეგი საგნობრივი წრეები: ინგლისური, მათემატიკა, დაწყებითი განათლება, ქიმია-ბიოლოგია. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და სათანადო მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აღნიშნული საგნობრივი წრეები შექმნილია დაინტერესებული მხარეების და მოსარგებლე პირების საჭიროებების სათანადო შესწავლის, შეფასების და გაანალიზების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი პრიორიტეტულობა სხვა საგნობრივ წრეებთან მიმართებით სათანადოდ არაა დასაბუთებული. უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული დაინტერესებული მხარეების (მოსწავლეთა მშობლები) გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ მათთვის პრიორიტეტულია ისეთი წრეები, რომლებიც სკოლისაგარეშე და დამატებით განათლებას აძლევს მოსწავლეებს, მაგალითად: თანამედროვე ტექნოლოგიები, ფინანსური განათლება, ფსიქოლოგია, გერმანული ენა და ა.შ.
- შემეცნებითი, სასწავლო-აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის შედეგიანობა მნიშვნელოვნადაა აღნიშნული მიმართულებით შემუშავებულ სამუშაო გეგმებსა და პროგრამებზე დამოკიდებული. სილაბუსი წარმოადგენს სასწავლო კურსის პროგრამას, რომელშიც მოცემულია სასწავლო კურსის სათაური, კურსის ხანგრძლივობა და სწავლების წელი, მეცადინეობების რაოდენობა კვირაში, წლის მანძილზე, სასწავლო კურსის მიზნები და ამოცანები, სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები, სწავლების ფორმატი (სწავლების მეთოდები), რესურსები, გამოყენებული ლიტერატურა და სასწავლო მასალები, მისაღწევი შედეგები (იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რომელსაც უზრუნველყოფს კურსი), შეფასების ფორმები და ა.შ. შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეების სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში სამუშაო პროგრამები შემუშავებული არ არის სილაბუსის ფორმატით და სწავლება წარიმართება კალენდარული გეგმის საფუძველზე, რომელშიც ასახულია მხოლოდ მეცადინეობების თემა და რაოდენობა.
- ა(ა)იპ-ის მმართველის 2020 წლის 10 მარტის N98 122 ბრძანებით წრეებში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრებოდა შემდეგნაირად სრული განაკვეთი 25-30 მოსწავლე, ნახევარი განაკვეთი 15-20 მოსწავლე. აღნიშნულ ბრძანებაში 2020 წლის 08 სექტემბერს განხორციელდა ცვლილება და წრეებში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრა შემდეგნაირად სრული განაკვეთი 20-25 მოსწავლე, ნახევარი განაკვეთი 12-15 მოსწავლე. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი დასაბუთება, რომლითაც დადასტურდებოდა ზემოთ აღნიშნული ცვლილების განხორციელების საჭიროება და მიზანშეწონილობა. სათანადო დასაბუთებისა და საკმარისი გაანალიზების გარეშე წრეებში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება ფინანსური რესურსების არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს წარმოშობს.
- აუდიტის ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით განახორციელა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეებში ჩარიცხული მოსწავლეების მშობლების გამოკითხვა. რამდენიმე შემთხვევაში მოსწავლეთა მშობლებმა არ დაადასტურეს შესაბამისი წრის მეცადინეობებზე მათი შვილების დასწრების ფაქტი. აღნიშნულ შემთხვევებში მშობლები

აცხადებენ, რომ ა(ა)იპ-ის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს ზეპირსიტყვიერად მიმართეს მათი შვილების შესაბამისი წრეებიდან ამორიცხვის თაობაზე. ამის მიუხედავად, ზემოთაღნიშნული მოსწავლეები მთელი სასწავლო წლის მანძილზე ირიცხებოდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეებში და მათი გამოუცხადებლობის შემთხვევები ასახული არ არის შესაბამის სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის სააღრიცხვო ჟურნალებში. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში არ არის დაწესებული შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, არ ხორციელდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სათანადო ინსპექტირება.

ქვეპროგრამა ა(ა)იპ “წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს“ შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად (ეფექტიანობის აუდიტი) გამოვლენილი მნიშვნელოვანი მიგნებების აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციები:

- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეიმუშაონ პროცესები, მეთოდები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ა(ა)იპ-ის საქმიანობით დაინტერესებული მხარეების და მოსარგებლე პირების საჭიროებებისა და მოლოდინების შესწავლა და გაანალიზება, ა(ა)იპ-ს წინაშე მდგარი გამოწვევების და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, ა(ა)იპ-ის SWOT ანალიზი, ა(ა)იპ-ს ინსტიტუციური შეფასება. მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, უნდა შემუშავდეს სტრატეგიული გეგმა, რომელიც თავსებადი იქნება შესაბამის სფეროში სახელმწიფო პრიორიტეტებთან და მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან. სტრატეგიული გეგმით უნდა განისაზღვროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ა.შ. სტრატეგიულ გეგმასთან ერთად უნდა მომზადდეს დეტალური წლიური სამოქმედო გეგმა, რომელშიც სრულად და კონკრეტულად იქნება ასახული ის აქტივობები და ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მიღწევა. სამოქმედო გეგმაში უნდა განისაზღვროს თითოეული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დაგეგმილი ღონისძიებებისთვის საჭირო რესურსების რაოდენობა, მათი მოპოვების გზები, გეგმის შესრულების ინდიკატორები და ა.შ. ყოველწლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე კი შემუშავდეს კონკრეტული სამუშაო პროგრამა.
- ა(ა)იპ -ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშაონ შესაბამისი პროცესები, მეთოდები, კრიტერიუმები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების ხედვა და სტრატეგია, განხორციელდება ადამიანური რესურსების კონკურენციის წესით შერჩევა წინასწარ გაწერილი კვალიფიკაციების შესაბამისად და დარეგულირდება ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა საქმიანობის შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, შეიმუშაონ ორგანიზაციის თვითშეფასების წესი და ფორმა, განსაზღვრონ გაზომვადი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდება ა(ა)იპ-ის საქმიანობის შედეგების შეფასება და ქვეპროგრამის ფარგლებში დახარჯული თანხების ეფექტიანობის შესწავლა.
- ქვეპროგრამით გათვალისწინებული შედეგების ეფექტიანად მიღწევისთვის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სათანადო კონტროლი დაწესდეს ა(ა)იპ-ის საქმიანობაზე, ჩატარდეს ქვეპროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი, სხვა დანარჩენთან ერთად აღნიშნულის ფარგლებში უნდა განისაზღვროს მონიტორინგის შედეგების ანგარიშგების მიმართულებები, პერიოდულობა, ვადები, ფორმატი და შესაბამისი

პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეული. დაინერგოს ა(ა)იპ-ს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროცესის კონტროლის მექანიზმები. მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ობიექტურობის პრინციპის დაცვით და აღნიშნულ პროცესში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობა. სათანადო კონტროლის სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს ა(ა)იპ-ის საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებას და მუნიციპალური ფინანსების ეფექტიან ხარჯვას.

- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით შეიმუშავეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეებში, აგრეთვე სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში მოსწავლეთა მიღებისა და გარიცხვის წესი შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით: სათანადო დასაბუთებით შემუშავდეს და დეტალურად გაიწეროს მოსწავლეთა მიღების პირობები და მოსწავლეთა შერჩევის კრიტერიუმები; განისაზღვროს კრიტერიუმები, რომლითაც დადგინდება ადგილების გამონთავისუფლების შემთხვევაში განმცხადებელთა მოსწავლეთა სიაში ჩარიცხვის საკითხის განხილვის რიგითობა; სათანადო დასაბუთებით ჩამოყალიბდეს და მკაფიოდ გაიწეროს მოსწავლეთა გარიცხვის პირობები; შემუშავდეს და დამტკიცდეს პროცედურები, რომელიც მოაწესრიგებს წრეებში, სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში ჩარიცხვის მსურველ მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ წრეებში, სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის მიზნით შეტანილი განცხადებების მიღების, დამუშავებისა და აღრიცხვის პროცესს. რეკომენდირებულია განცხადებების აღრიცხვა თითოეული წრის, სასწავლო მიმართულების (სამხატვრო სკოლა, სამუსიკო სკოლა) მიხედვით იწყებოდეს წინასწარ განსაზღვრული სარეგისტრაციო ნომრით და ასახული იყოს სპეციალურ ფორმებში, რომლებიც მოიცავს ისეთ აუცილებელ მონაცემებს, როგორცაა, განცხადების მიღების თარიღი, განცხადების ნომერი, წრის/ სასწავლო მიმართულების დასახელება, პოტენციური მოსწავლის სახელი და გვარი, ა(ა)იპ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ა.შ. აგრეთვე რეკომენდირებულია დაინერგოს რეზერვში მყოფი ჩარიცხვის მსურველი მოსწავლეების რეესტრის წარმოების პრაქტიკა; მოსწავლეთა მიღებისა და გარიცხვის წესში გათვალისწინებული უნდა იყოს ანგარიშგების, შემუშავებული წესის პერიოდული განახლების, პროცესებისა და აქტივობების დოკუმენტირების მექანიზმები.
- ა(ა)იპ-ს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშავეს პროცესები და აქტივობები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება წრეების შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სათანადო დასაბუთებით, დაინტერესებული მხარეების და მოსარგებლე პირების საჭიროებების/სურვილების სათანადო შესწავლის, შეფასებისა და გაანალიზების საფუძველზე.
- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეიმუშაონ პროცესები, მეთოდები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლითაც დარეგულირდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეებში, ასევე სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში შემეცნებითი, სასწავლო-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ: სათანადო დასაბუთების საფუძველზე შემუშავდება და დამტკიცდება სასწავლო გეგმები და პროგრამები, განისაზღვრება სწავლების ხანგრძლივობა, მეცადინეობების რაოდენობა კვირაში/ წლის მანძილზე, სასწავლო კურსის/საგნის მიზნები და ამოცანები, სასწავლო კურსის/საგნის შესწავლის წინაპირობები, მოსწავლეთა ასაკი, სწავლების ფორმატი (სწავლების მეთოდები), რესურსები, გამოყენებული ლიტერატურა და სასწავლო მასალები, მისაღწევი შედეგები (იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რომელსაც უზრუნველყოფს კურსი), შეფასების ფორმები, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმები, შემეცნებითი, სასწავლო-აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგის, აგრეთვე დამტკიცებული პროგრამებისა და გეგმების შესრულების კონტროლის ფორმები და პროცედურები, პედაგოგთა კვირეული დატვირთვის საათთა რაოდენობა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებზე კოლეგიალური გადაწყვეტილების

მიღების მიზნით პედაგოგთა საბჭოს შექმნისა და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ასპექტები და ა.შ.

- ა(ა)იპ-ს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა საქმიანობის დაგეგმვისა და მართვის პროცესში იხელმძღვანელონ ხარჯთეფექტურობის პრინციპიდან გამომდინარე და შეიმუშავეს პროცესები, მეთოდები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც სათანადო დასაბუთებისა და საკმარისი გაანალიზების საფუძველზე განისაზღვრება წრეებში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა, ასევე დარეგულირდება წრის ხელმძღვანელთა სრული და ნახევარი განაკვეთების განსაზღვრის წესი და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
- ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშავეს პროცესები და აქტივობები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ხორციელდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სათანადო კონტროლი /ინსპექტირება, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის წრეებში მოსწავლეთა მეცადინეობებზე დასწრების სათანადო აღრიცხვა და მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის პროცესის სათანადოდ წარმართვა.

➤ აუდიტის ობიექტი N3

ა(ა)იპ “წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს“ შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად (შესაბამისობის აუდიტი) გამოვლენილი მნიშვნელოვანი მიგნებები:

- აუდიტორული შემოწმების პროცესში გამოვლინდა, რომ აუდიტის ობიექტს შემუშავებული არა აქვს სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა, თუმცა აუდიტის ობიექტის 2021 წლების სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა რეგისტრირებულია ePlan მოდულში.
- შესწავლით დგინდება, რომ CMR210040541; CMR210090437; (CPV – 185 00000); CMR210098319 (CPV- 24900000); CMR210105982(CPV- 24900000; CPV - 22800000) ; CMR210139880; CMR210049299 გამარტივებული შესყიდვები განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში წინასწარი რეგისტრაციის გარეშე.
- შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ა(ა)იპ-ის მიერ 2021 წელს განხორციელებული 68 სახელმწიფო შესყიდვიდან 44 განხორციელდა ბაზრის კვლევის გარეშე.
- შესამოწმებელ პერიოდში ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს წერილობითი ფორმით დადასტურებული არ აქვს, რომ შესაბამის შესყიდვებში მისი მონაწილეობა არ იწვევდა ინტერესთა კონფლიქტს და, შესაბამისად, ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში ატვირთულია არაა, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს.
- 2021 წლის 01 მარტიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ხორციელდებოდა აუდიტის ობიექტის მიერ შემუშავებული ფორმით, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ სამუშაო დროის აღრიცხვის წესს .
- ცენტრის მმართველის 2021 წლის 07 ივნისის N61 ბრძანების საფუძველზე ნიკოლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ფონდების მთავარ კურატორის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შრომითი ურთიერთობა დროებით შეუჩერდა 2021 წლის 4 ივნისიდან 2021 წლის 4 დეკემბრამდე პერიოდში. ცენტრის მმართველის 2021 წლის 20 სექტემბრის N124 ბრძანების საფუძველზე აღნიშნულ პოზიციაზე დროებითი შრომითი ხელშეკრულებით დაინიშნა სხვა პირი 2021 წლის 21 სექტემბრიდან ამავე წლის 31 დეკემბრამდე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 2021 წლის 4 დეკემბრიდან ფონდების

ფონდების მთავარ კურატორს უნდა აღდგენოდა შრომითი ურთიერთობა, შესაბამისად, დროებითი შრომითი ხელშეკრულების ვადა მისი მოვალეობის შემსრულებელთან განსაზღვრულია არასწორად .

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 30 მარტის N48.48210894 ბრძანების საფუძველზე ცვლილება შევიდა ცენტრის სამტატო ნუსხაში, კერძოდ, გაუქმდა „ვიდეოგადამღები ოპერატორის“ შტატი და შეიქმნა „მძღოლის“ შტატი. ცენტრის მმართველის 2021 წლის 14 აპრილის N34 ბრძანების საფუძველზე 2021 წლის 14 აპრილიდან განთავისუფლდა შესაბამისი პირი ცენტრის ვიდეოგადამღები ოპერატორი თანამდებობიდან. ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, 2021 წლის 30 მარტიდან ამავე წლის 14 აპრილამდე აღნიშნული პირი დასაქმებული იყო და შესაბამისი ხელფასი აიღო შტატზე, რომელიც აღარ არსებობდა. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული შეუსაბამობა განპირობებულია იმით, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან შესაბამისი ბრძანება და ინფორმაცია სამტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილების შესახებ მიეწოდათ დაგვიანებით.
- არასწორადაა გაანგარიშებული და შესაბამისად შეცდომითაა ანაზღაურებული ცენტრის სამართლებრივი უზრუნველყოფის კოორდინატორის 2021 წლის თებერვლის ხელფასი და ცენტრში სახალხო თეატრის მსახიობის პოზიციაზე დასაქმებული პირის 2021 წლის მარტის ხელფასი.
- სატრანსპორტო საშუალებაზე სახელმწიფო ნომრით UQ-081-UU აუდიტის ობიექტი არ აწარმოებდა ავტოსატრანსპორტო საგზაო ბარათებს, არ აღირიცხებოდა განვლილი მანძილი (ოდომეტრის მაჩვენებლები) და საწვავის ჩამოწერა არ ხდებოდა გარბენილი კილომეტრაჟის მიხედვით.

ა(ა)იპ “წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს“ შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად (შესაბამისობის აუდიტი) გამოვლენილი მნიშვნელოვანი მიგნებების აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციები:

- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს: სახელმწიფო შეყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების პროცედურების წარმართვას სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით; სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.
- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს: სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად. კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისა და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერების მიზნით ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირებას და მათ სისტემატიზებული არქივაციას.
- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი ფიზიკური პირი/პირები წერილობითი ფორმით დაადასტურებენ, რომ შესაბამის შესყიდვებში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აიტვირთება.
- ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა ნამუშევარი დროის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხვას, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას/შეწყვეტას

საშტატო ნუსხის/ საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად და თანამშრომელთა ხელფასების სწორ გაანგარიშებას.

- პრაქტიკაში უნდა დაინერგოს საწვავის ხარჯვის ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ განვლილი მანძილის ზუსტ აღრიცხვას. ერთობლივი შემოსავლიდან საწვავის ხარჯის გამოსაქვითად შეძენილი და გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება დოკუმენტურად უნდა დადასტურდეს. გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში მიეთითოს თუ სად, კონკრეტულად რა სამუშაოსთვის გაიხარჯა საწვავი.

4. გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი:

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ წლიური გეგმის შესაბამისად მონიტორინგი ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს - წარმოდგენილი რეკომენდაციების სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებებთან დაკავშირებით.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს მიერ 5 (ხუთი) რეკომენდაციიდან შესრულებულია 5 (ხუთი) რეკომენდაცია.

5. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს სამსახურეორივი შემოწმება.

სამსახურებრივი კონტროლის ფარგლებში შიდა აუდიტის სამსახურმა განმეორებით მოახდინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს შემოწმება, შემოწმებით დადგინდა, რომ თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურში დაგვიანების/არ გამოცხადების ფაქტებს. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია.

6. შიდა აუდიტის ადამიანური რესურსის ანალიზი; კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურში დასაქმებულია 6 საჯარო მოსამსახურე. სამსახურის სტრუქტურა შედგება სამსახურის უფროსის და 5 უფროსი სპეციალისტისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების უწყვეტი პროფესიული განვითარება და მაღალი კვალიფიკაცია შესაბამისი გადამზადების ორგანიზებით, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები პროფესიული განვითარების მიზნით სისტემატურად იღებენ მონაწილეობას ჰარმონიზაციის ცენტრის, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსის სისტემის ასოციაციის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში.

ჰარმონიზაციის ცენტრთან აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში სამსახური დეტალურ ინფორმაციას იღებს საქართველოში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებისა და ამ სფეროში მიმდინარე რეფორმების თაობაზე.

